სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/63 20.09. 2018 წ.

2018-2019 სასწავლო წლისათვის მაგისტრატურაში მისაღები
საუნივერსიტეტო გამოცდების დანიშვნის შესახებ

2018-2019 სასწავლო წლისათვის მაგისტრატურაში მისაღები საუნივერსიტეტო გამოცდები დაინიშნოს შემდეგი განრიგის მიხედვით:

1. შიდასაუნივერსიტეტო მისაღები გამოცდა ყველა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაინიშნოს 2018 წლის 25 სექტემბერს 13^{00} საათზე.
2. მეორე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის საუნივერსიტეტო გამოცდა დაინიშნოს 2018 წლის 26 სექტემბერს 11^{00} საათზე №1128 აუდიტორიაში.
3. ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის გამოცდა ერთ-ერთ ევროპულ ენაში B2 დონეზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) დაინიშნოს 2018 წლის 26 სექტემბერს 14^{00} საათზე №2205 აუდიტორიაში.
4. მედიცინის ფაკულტეტის ფარმაციისა და ბიოსამედიცინო ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამებისათვის საუნივერსიტეტო გამოცდა დაინიშნოს 2018 წლის 26 სექტემბერს 11^{00} საათზე №2205 აუდიტორიაში.
5. ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში სამაგისტრო პროგრამისათვის საუნივერსიტეტო გამოცდა (ტესტირება ინგლისურ ენაში) ჩატარდეს კომპიუტერთან, 2018 წლის 25 სექტემბერს 13^{00} საათზე №2205 აუდიტორიაში.
6. ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში სამაგისტრო პროგრამისათვის გასაუბრება სპეციალობაში ჩატარდეს 2018 წლის 26 სექტემბერს 11^{00} საათზე №1119 აუდიტორიაში.
7. საუნივერსიტეტო გამოცდები ჩატარდეს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში (თამარ მეფის ქუჩა № 59) - №1208, №1209, №1205, 1113, 1116 აუდიტორიებში.
8. სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები საუნივერსიტეტო გამოცდების ჩატარების უზრუნველყოფა დაევალოს საგამოცდო სექტორსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის სამსახურს.
9. 11^{00} საათზე საუნივერსიტეტო სამაგისტრო გამოცდაზე გამომსვლელთა რეგისტრაცია დაიწყოს 10^{00} საათზე, ხოლო 13^{00} საათზე გამომსვლელთათვის - 12^{00} საათზე, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში.
10. დაევალოს კანცელარიის უფროსს და მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება.

რექტორი გიორგი ღავთაძე

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი იმერ ბასილაძე